საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

6200 ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141.
ტელ. 0426-26-72-09

№01-38/79

„21" იანვარი 2013 წელი

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ქ. ქობულეთში რუსთაველის II შესახვევი №3-ში (ს/კ 20,42,07,262) საბავშვო ბაღის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით, საკონკურსო განცხადებას თანდართული დოკუმენტაციით.

გთხოვთ, უზრუნველყოთ საკონკურსო განცხადების გამოქვეყნება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

დანართი: 12 (თორმეტი) ფურცელი.

გამგებელი — თენგიზ ზოიძე

ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის II შესახვევი №3-ში საბავშვო ბაღის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №1

ქ. ქობულეთი 19 იანვარი 2013 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) თენგიზ ზოიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) რევაზ ხარაზი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ბადრი რომანაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

ვ) დავით ბოლქვაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;

ზ) გურამ მჟავანაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო განვითარების სამსახურის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

თ) ნათია ბასიაშვილი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი მშენებლობის ნებართვებისა და ლეგალიზების საკითხებში - კომისიის აპარატის წევრი;

ი) დავით ნოღაიდელი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი - კომისიის აპარატის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის II შესახვევი №3-ში საბავშვო ბაღის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით, საკონკურსო პირობების განსაზღვრა და მათი დამტკიცება.

მომხსენებელი - ბადრი რომანაძე

მომხსენებელმა წარმოადგინა კომისიის აპარატის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო პირობებისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების პროექტი, კომისიამ განიხილა წარმოდგენილი პირობები (დანართის სახით მიეთვისა ოქმს) და განხილვის შედეგად დაადგინა შეფასების კრიტერიუმები, საკონკურსო წინადადებების მიღების ვადა, ხელშეკრულების პირობები.

კომისიის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ წინადადებას.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს საკონკურსო დოკუმენტაცია და საკონკურსო განცხადება;
2. კონკურსანტის მიერ წარმოდგელილი საკონკურსო წინადადება შეფასდება განხორციელდეს ათბალიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების და პრიორიტეტულობის კოეფიციენტების შესაბამისად.

ა) ვიზუალური ხარისხი, შიგა გეგმარება და შინაარსობრივი დატვირთვა: კოეფიციენტი – 0.5;
ბ) ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება: კოეფიციენტი – 0.3;
გ) საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.2;

3. საკონკურსო განცხადების და თანდართულ დოკუმენტების გამოქვეყნების მიზნით, საკონკურსო კომისიის აპარატმა, უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და მასზე თანდართული დოკუმენტების, დასკანერებული სახით წარედგინება სააგენტოს ელექტრონული ფოსტის ფოსტის contest@procurement.gov.ge მეშვეობით.

კომისიის თავმჯდომარე	თენგიზ ზოიძე
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	რევაზ ხარაზი
კომისიის წევრი:	ბადრი რომანაძე
	დავით ბოლქვაძე
	გურამ მჟავანაძე
კომისიის აპარატის წევრი:	ნათია ბასიაშვილი
	დავით ნოღაიდელი

კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის II შესახვევი №3-ში საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტის საკონკურსო განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

2013 წელი
ქ. ქობულეთი

საკონკურსო განცხადება

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტი (მის: ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №141) აცხადებს კონკურსს ქ. ქობულეთში რუსთაველის II შესახვევი №3-ში (ს/კ 20,42,07,262) საბავშვო ბაღის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია ქ. ქობულეთში რუსთაველის II შესახვევი №3-ში საბავშვო ბაღის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, რომელიც უნდა შედგებოდეს სრული არქიტექტურული ნაწილის, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, კონსტრუქციული ნაწილის, საინჟინრო-კომუნალური შიგა და გარე ქსელების პროექტებისაგან. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ხარჯთაღრიცხვა.

3. შესყიდვის ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 20000 (ოციათასი) ლარს.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2013 წლის „29" იანვარს 10 საათიდან 2013 წლის „29" იანვრის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №141

5. კონკურსი ჩატარდება 2013 წლის „29" იანვარს 16 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №141, მესამე სართული, სააქტო დარბაზი.

6. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

6.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით. (50 ორმოცდაათი ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://procurement.gov.ge).

6.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

პირის მიერ 6.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.

8. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

11. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

12. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

13. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში,ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

14. საკონკურსო წინადადებაში კონკურსანტმა უნდა მიუთითოს:
ა) რეკვიზიტები დანართი N1-ის მიხედვით;
ბ) ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;
გ) ინფორმაცია კონკურსანტის მიერ განხორციელებული ანალოგიური (საბავშვო ბაღების მშენებლობის, რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) მომსახურების გამოცდილების შესახებ; კონკურსანტს უკანასკნელი 2 (ორი) (2011-2012 წწ) წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურება საერთო ღირებულებით არანაკლებ 20000 (ოცდათასი) ლარის ოდენობით, რაზეც სისტემაში ატვირთული უნდა იყოს შესაბამისი ხელშეკრულებები და მიღება–ჩაბარების აქტები
დ) გასაწევი მომსახურების ტექნიკური აღწერა (განმარტებითი ბარათი).
ე) საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტი შემდეგი შემადგენლობით:
- სიტუაციური გეგმა;
- საპროექტო ობიექტის სართულის გეგმები ექსპლიკაციით;
- ტერიტორიაზე შენობის განთავსების სავარაუდო გეგმა ექსპლიკაციით;
- საპროექტო ობიექტების ესკიზები;
- ფასადები 3D ფორმატში.

15. საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) ვიზუალური ხარისხი, შიგა გეგმარება და შინაარსობრივი დატვირთვა: კოეფიციენტი – 0.5;
ბ) ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება: კოეფიციენტი – 0.3;
გ) საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.2;

შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

16. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში არქიტექტურულ-სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

17. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად.

18. საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141.საკონტაქტო პირი: ბადრი რომანაძე ტელ: 577 20-59-51;

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის მე-2 შესახვევი №3-ში საბავშვო ბაღის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, რომელიც უნდა შედგებოდეს სრული არქიტექტურული ნაწილის, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, კონსტრუქციული ნაწილის, საინჟინრო-კომუნალური შიგა და გარე ქსელების პროექტისაგან. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ხარჯთაღრიცხვა.

ტერიტორიის საერთო ფართი: **5302.00 მ²**

ძირითადი მოთხოვნა:

1. შენობის სავარაუდო აღწერილობაა:

- საბავშვო ბაღის შენობის ზომები: არანაკლებ 30მ.X20მ.X7მ. ორსართულიანი;
- 5 ჯგუფის ოთახი, მ.შ. 4 ჯგუფის ოთახი თავისი საძინებლით, 1 ჯგუფის ოთახი საძინებლის გარეშე, სველი წერტილებით, ჭურჭლის სამრეცხაოთი, გასახდელებით;
- სამზარეულო ბლოკი;
- საკუჭნაო სურსათის საწყობი;
- ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალისათვის საჭირო აუცილებელი ფართები (სამედიცინო ოთახი, ლოგოპედის ოთახი, მეთოდისტის ოთახი, სველი წერტილები, თეთრეულის სამრეცხაო ოთახი და ა.შ)
- დარბაზი არაუმეტეს 75 კვ.მ.;

2. ეზოს ტერიტორიაზე:

- ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- მისასვლელი გზებისა და ბილიკების მოწყობა;
- ბავშვთა გასართობი მოედნების მოწყობა.
- ტერიტორიის შემოფარგვლა დეკორატიული ღობით;

სამშენებლო დოკუმენტის პროექტი უნდა შეიცავდეს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ N57 დადგენილებით განსაზღვრული შენობა-ნაგებობის შესაბამისი კლასისათვის გათვალისწინებულ დოკუმენტაციას. დამატებით წარმოდგენილ უნდა იყოს:

1. კონსტრუქციული პროექტი;
2. წყალმომარაგებისა და წყალარინების (კანალიზაციის) შიგა და გარე ქსელების პროექტი;
3. გარე გაზმომარაგების პროექტი;
4. ელექტრო მომარაგების შიგა და გარე ქსელების პროექტი;
5. სუსტი დენების პროექტი (სიგნალიზაცია, ტელეფონი, ინტერნეტი და ტელევიზია);
6. მიწის ნაკვეთის ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი;
7. მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
8. გათბობის ცენტრალიზებული პროექტი;
9. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემის პროექტი;

10. ასაშენებელი შენობის ვიზუალიზაცია;
11. მთლიანი დოკუმენტაციის ელექტრონულ ვერსია;
12. ხარჯთაღრიცხვა, რომელიც დამუშავებული უნდა იყოს რესურსული მეთოდით;

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

19. ნორმატიული დოკუმენტები

პროექტების ძირითადი სახელმძღვანელო ნორმატივებია:

- სნიპ II-2-80 = შენობა-ნაგებობების პროექტირების ანტისახანძრო ნორმები;
- სნიპ II-7-81 = სეისმურ რაიონებში მშენებლობა;
- სნიპ II-9-78 = მშენებლობისათვის საინჟინრო-საძიებო სამუშაოები, ძირითადი დებულებები;
- სნიპ 2-02.0I-83 = შენობა-ნაგებობების საფუძველი;
- სნიპ 2.03.0I-84 = ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციები;
- სნიპ II-22-81 = ქვისა და არმირებული ქვის კონსტრუქციები;
- სნიპ II-23-81 = მეტალო-ფოლადის კონსტრუქციები;
- სნიპ II-25-80 = ხის კონსტრუქციები;
- სნიპ II-26-76 = სახურავები;
- სნიპ II-28-73 = სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვა;
- სნიპ 2.04.01-85 = შენობის შიდა წყალ-კანალიზაციის სისტემა;
- სნიპ 2.04-02-84 = წყალმომარაგება, გარე ქსელები და ნაგებობები;
- სნიპ II-32-74 = კანალიზაცია, გარე ქსელები და ნაგებობები;
- სნიპ II-64-80 = საბავშვო, სკოლამდელი დაწესებულებები;
- სნიპ 544-82 = შენობა-ნაგებობების ელექტრომომარაგების პროექტირების ინსტრუქცია.

შენიშვნა: კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 5 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით PDF ფორმატში. სამუშაოების სახეობების და კონსტრუქციული ელემენტების პროექტირებისას მიმწოდებელი ხელმძღვანელობს საქართველოში მიღებული შესაბამისი სხვა ნორმებით და სტანდარტებით.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ხელშეკრულება N

ქ. ქობულეთი, ... 2013 წელი

ერთის მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის ელგუჯა ბაგრატიონის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ..... სახით (შემდგომში მიმწოდებელი), N----- კონკურსის ჩატარების შედეგად, კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 71300000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. შესყიდვის ობიექტია: ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის II შესახვევი №3-ში საბავშვო ბაღის მშენებლობის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

1.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს _____ ლარს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

2.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი:

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგინოს ტექნიკური დავალების შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 20 დღის განმავლობაში.

3.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 5 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიითPDF ფორმატში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

5.2 შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

6. ფასები

6.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

6.2 ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

6.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

6.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

6.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

9.2 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,15 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, ამ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე შეწყდება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

12.1 მიმწოდებელი იძლევა ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
12.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

13. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება

მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებელების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

15.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2013 წლის 31 მაისის ჩათვლით.

17. სხვა პირობები

17.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ოთხი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქობულეთის მუნიციპალიტეტი
ს.კ. 247001890
მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის
გამზირი №141
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
კოდი LBRTGE22
ა/ა GE56LBO120113125552000

საკრებულოს თავმჯდომარე

ელგუჯა ბაგრატიონი

მიმწოდებელი:

რეკვიზიტები:

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება

- საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი

- პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:

- ხელმძღვანელის სახელი, გვარი

- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: ☎ ტელ.: ; 🖷 ფაქსი.: ; 📱 მობ.: ;

- ელექტრონული მისამართი, E-mail:

- ბანკის დასახელება

- ბანკის კოდი

- ანგარიშსწორების ანგარიში

(პრეტენდენტის დასახელება)

(ხელის მოწერა და ბეჭედი)